საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბოგის მღვიმე

ბოგის მღვიმე, კარსტული მღვიმე ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ხვამლის კირქვულ მასივზე, ზ. დ. 1710 მ სიმაღლეზე.

გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. მღვიმეში ჩასასვლელი იხსნება კარსტული ძაბრის ფსკერზე და საფეხურებად ეშვება სიღრმეში.ფსკერის ფართობი 400 $მ^2$, საერთო მოცულობა 1200 $მ^3$, ნაპრალების გადაკვეთის ადგილებში გვხვდება დარბაზები. მღვიმის გამოკვლეული ნაწილის ჯამური სიღრმე 50 მ აღწევს. მღვიმეში არის თოვლ-ფირნისა და ყინულების წარმონაქმნები, სტალაქტიტები, სტალაგმიტები და სხვ.

ვარაუდობენ, რომ ბოგაში ჩაჟონილი წყლები კვებავს ვერძისთავის ვოკლუზს.

ზ. ტატაშიძე